

2011 წლის 23 ივნისი, ბრიუსელი.

ძვირფასო, ქალბანოტო ირმა!

ევროპული კომისიის პრეზიდენტმა, ბატონმა ჟოზე მანუელ ბაროზომ მთხოვა მეპასუხა თქვენს წერილზე – 2011 წლის 28 მარტის „პროტესტის დეკლარაცია“, რომელშიც თქვენ წამოაყენეთ მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში. მოხარულნი ვართ, რომ გვიზიარებთ თქვენს შეხედულებასა და ინფორმაციას.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განვითარების წლიურ ანგარიშში ნათქვამია საქართველოში არაადამიანური და დამამცირებელი დაკავების პირობების შესახებ, რაც ხშირად გამოწვეულია ციხეების გადატვირთულობით და ეს რჩება ზრუნვის მთავარ მიმართულებად.

როგორც თქვენთვის ცნობილია ევროკავშირი მხარს უჭერს რეფორმებს სისხლის სამართლის სფეროში. ამ კონტექსტში ჩვენ ვმუშაობთ საქართველოს მთავრობასთან, რათა გაუმჯობესდეს მდგომარეობა პენიტენციურ სისტემაში.

ევროკომისიის პრეზიდენტის ჟოზე მანუელ ბაროზოს სახელით,

ჯონ კაერი